



ტურიზმი: აღდგენის გზაზე

სექტორული რეპორტი


დეკემბერი 2021

ირინა კვახაძე
კვლევების სამსახურის უფროსი

მარიამ სურმავა
კვლევის ანალიტიკოსი

მაკა ქორიძე
უმცროსი კვლევის ანალიტიკოსი





“ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ და გავაგრძელოთ ჩვენი ძალისხმევა რათა უზრუნველვყოთ ვაქცინაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოგზაურობის პროცედურების კოორდინაცია, გამოვიყენოთ ციფრული ვაქცინაციის სერტიფიკატები და ამგვარად ხელი შევუწყოთ მობილობას და მთლიანად სექტორს.“

ზურაბ პოლოლიკაშვილი
UNWTO გენერალური მდივანი

სარჩევი

წინასიტყვაობა (4)

მოკლე მიმოხილვა (5)

პანდემიის ორი წელი: გავლენა ციფრებში (8)

დასკვნები კრიზისიდან: საერთაშორისო ვიზიტები (17)

დასკვნები კრიზისიდან: საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები (23)

დასკვნები კრიზისიდან: ადგილობრივი ტურიზმი (26)

ტრენდები ჰორიზონტზე (29)

მოკლე და საშუალო ვადიანი გამოწვევები (36)

აქცენტი გამოწვევაზე: სამუშაო ძალის დეფიციტი HoReCa-ს სექტორში (37)

დანართი 1. კითხვარის შედეგები, სასტუმროები (52)

დანართი 2. კითხვარის შედეგები, რესტორნები (72)

წინასიტყვაობა

რეპორტში განხილულია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის დინამიკა პანდემიის დაწყებამდე და მისი დაწყების შემდგომ. კვლევის მთავარ მიზანს, მოცემულ პერიოდში, ძირითადი ცვლილებების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეჯამება წარმოადგენდა. რეპორტის პირველი ნაწილი მიმოიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის მთავარ ინდიკატორებს, საერთაშორისო ვიზიტორებთან დაკავშირებულ მიგნებებს, ვიზიტორებისაგან მიღებულ შემოსავლებს, სასტუმროების ძირითად პარამეტრებს და ცვლილებებს საქართველოს ადგილობრივ ტურიზმში. მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით წინ წამოწეულ ახალ გლობალურ ტრენდებზე და თუ რამდენად თავსებადია საქართველო მათთან.

მესამე ნაწილი დავუთმეთ საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას - საქართველოს სტუმარმასპინძლობის სექტორში კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა. ვიმედოვნებთ, რომ ეს კვლევა ამ სექტორის წარმომადგენლებს და განათლების პროვაიდერებს დაეხმარება საერთო მიზნისათვის საერთო ენის გამონახვაში.

თიბისი კაპიტალი მადლიერებას გამოხატავს სამუშაო ძალის გამოკითხვის ყველა მონაწილის მიმართ, კვლევაში მათი შეტანილი წვლილისათვის

მოკლე მიმოხილვა

პანდემიის გავლენა

ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს ახალ რეალობასთან ადაპტაცია მოუწია. Covid-19-მა მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე და ინდუსტრიაზე მოახდინა გავლენა. ტურიზმი, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის ერთერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, იმ ინდუსტრიათაგანი აღმოჩნდა, რომელმაც უფრო დიდი დარტყმა მიიღო პანდემიისგან. აღდგენას დიდი დრო დასჭირდება და წინ კვლავ გაურკვევლობაა.

ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში, 2021 წლის 10 თვის განმავლობაში, 2019 წლის დონის მხოლოდ 21%-ს გაუტოლდა. ახლო აღმოსავლეთიდან საერთაშორისო ვიზიტების მაღალი აღდგენა შეინიშნება: 2021 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში, ვიზიტების რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებლის 65%-ს შეადგენს. თუმცა, ვიზიტების რაოდენობაში ყველაზე დიდი წილი მეზობელ ქვეყნებს ეკუთვნის.

საერთაშორისო ვიზიტები უკრაინიდან პანდემიური შოკის მიმართ საკმაოდ გამძლე აღმოჩნდა. 2021 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში, ვიზიტების რაოდენობა 30%-ით შემცირდა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

საქართველოში განხორციელებულ ვიზიტებში მეზობელი ქვეყნების შემცირებული წილი პანდემიის მიერ გამოწვეული ერთერთი ყველაზე აშკარა ცვლილება იყო.

2019 წელს ვიზიტორების დიდი ნაწილი შემოვიდა მეზობელი ქვეყნებიდან, თუმცა პანდემიის დაწყების შემდგომ აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან განხორციელებული ვიზიტების აღდგენა საკმაოდ ნელია.

ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები 2021 წლის იანვარ-ოქტომბერში, 2019 წლის დონის 35.4%-ს გაუტოლდა. პანდემიის მიერ გამოწვეულმა გაურკვევლობამ მოგზაურების პრიორიტეტები და ქცევა შეცვალა. ისინი შედარებით დიდი ხნით ამჯობინებენ ტურისტულ ლოკაციებში დარჩენას, შესაბამისად საქართველოში ერთ ვიზიტზე შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2019 წელთან შედარებით.

საქართველოში ადგილობრივი ტურიზმის გააქტიურება ჩაკეტილი საზღვრებით და პანდემიასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვებით იყო გამოწვეული. 2021 წლის მეორე კვარტალში, ადგილობრივი ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 27.3%-ით გაიზარდა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი ვიზიტორებისთვის ყველაზე პოპულარულ რეგიონებს კახეთი და აჭარა წარმოადგენს.

აქტიურმა ადგილობრივმა ტურიზმმა საქართველოში, სასტუმროების საშუალო დატვირთულობის აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 2021 წელს, თბილისის გარეთ მყოფ სასტუმროებში დატვირთულობის 70% ადგილობრივ დამსვენებლებზე მოდის. საქართველოში სასტუმროების საშუალო დატვირთულობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო 2021 წლის ზაფხულში, არა მხოლოდ დიდ, ასევე საშუალო და მცირე ზომის სასტუმროებშიც.

გლობალური ტრენდები ჰორიზონტზე

როცა მსოფლიო ახალ რეალობას შეეჯახა ტურიზმის ინდუსტრიას ცვლილებებთან ადაპტაცია მოუწია, რამაც ახალი ტრენდები წარმოშვა. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება პანდემიის ფონზე მთავარ პრიორიტეტად იქცა, არა მხოლოდ მოგზაურებისთვის, არამედ ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვისაც.

ინდუსტრიის წარმომადგენლებმა, მომხმარებლების მისაზიდად და მათი ნდობის მოსაპოვებლად კოვიდ-უსაფრთხოების მიმართულებით, გადაწყვიტეს თავიანთ ბრენდთან დაცულობის იმიჯის „მიბმა“. მოგზაურებისთვის პრიორიტეტი გახდა პირადი სივრცის უფრო მეტად დაცვა, ხალხმრავალი ადგილებისგან თავის არიდება და ისინი ამჯობინებდნენ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მიმართულებას სხვა გასართობ აქტივობებს.

გაციფრულებამ ტურიზმის ინდუსტრიაში პანდემიამდე ბევრად ადრე შეაღწია, თუმცა დაჩქარდა მისი გავრცელება. ციფრული მენიუების გამოყენებით, უკონტაქტო გადახდებით და სხვა ტექნოლოგიების დახმარებით, გაციფრულება ქმნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან მეტი შესაბამისობის შესაძლებლობას.

იმუშავე საიდანაც გინდა, ეს ტრენდი პანდემიასთან პირდაპირ კავშირშია. რაც უფრო მეტ ადამიანს აქვს სახლიდან მუშაობის შესაძლებლობა, მით უფრო მარტივი ხდება ინდუსტრიის წარმომადგენლების მიერ მიმზიდველი პაკეტების შეთავაზება მათთვის, ვისაც მოგზაურობის და მუშაობის შერწყმა სურს.

სამუშაო ძალის დეფიციტი

ტურიზმის ინდუსტრიაში სამუშაო ძალის დეფიციტი პანდემიის გამო ერთერთ მთავარ გამოწვევად იქცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ინდუსტრიის არასტაბილურობის გამოჩენის შემდეგ, ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულმა ადამიანებმა გადაწყვიტეს სამუშაო არეალის გამოცვლა და პანდემიისგან უფრო მეტად დაცულ ინდუსტრიებში დასაქმება. სამუშაო ძალის ნაკლებობა მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის ინდუსტრიისთვის ბიზნეს საქმიანობის გაგრძელების, მომსახურების ხარისხისა და დანახარჯების მიმართულებით. ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, სასტუმროების 88%-ს და რესტორნების 63%-ს ანაზღაურების გაზრდა მოუწია დეფიციტში მყოფ პოზიციებზე.

სამუშაო ძალის დეფიციტი სხვადასხვა ასპექტებით იყო გამოწვეული, მაგალითად შეცვლილი გარემო და კიდევ უფრო ღრმა ფესვების მქონე პრობლემები, როგორიცაა განათლების სისტემა.

ერთერთი ყველაზე დიდი სირთულე რის წინაშეც საგანმანათლებლო ინსტიტუტები დგას და ხელს უშლის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების აღზრდაში არის:

1. ბაზრის საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის შექმნა;
2. მაღალი ხარისხის მასწავლებლების მოზიდვა, რომლებსაც აქვთ თანამედროვე განათლება და პრაქტიკული ცოდნა;
3. პროფესიული განათლების პროვაიდერების სუსტი იმიჯი.

Covid-19 პანდემიის ორი წელი: გავლენა ციფრებში

საქართველოში ტურიზმმა 2019 წელი 7.7 მილიონზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორით დახურა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 7.25%-ით აჭარბებს. 2020 წელი შედარებით დადებით ნოტაზე დაიწყო და იანვარ-თებერვალში, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების 10%-ანი ზრდა დაფიქსირდა. მაგრამ, ამის შემდგომ მსოფლიო პანდემიამ მოიცვა, რამაც ინდუსტრიაზე მკვეთრი გავლენა იქონია: 2020 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 80%-ით დაეცა 2019 წელთან შედარებით. პანდემიის გავლენა არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა მსოფლიოს დანარჩენ ნაწილშიც. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 2020 წელს, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 73%-ით შემცირდა.


2021 წელს მსოფლიომ წინ გადადგა ნაბიჯი ვირუსის „მოსათვინიერებლად“ და შესაბამისად, ინდუსტრიამაც აღდგენა დაიწყო. 1 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2019 წლის (10 თვე) მაჩვენებლის 21%-ს გაუტოლდა. საქართველოში აღდგენის დონე მსოფლიოსთან შედარებით საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა: 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, მსოფლიოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ, 2019 წლის დონის 24% შეადგინა, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 27% იყო. შედარებით სუსტი აღდგენა შესაძლებელია აიხსნას საქართველოს მთავარი ბაზრის პორტუგელის შემადგენლობით.

საქართველოსთვის ძირითად ბაზარს წარმოადგენს ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ გამოირჩევა კრიზისისადმი დაცულობით, რაც შესაბამისად აფერხებს ტურისტული შემოდინებების აღდგენას.

2019 წელს საქართველოს ეკონომიკამ, საერთაშორისო ვიზიტორებისგან, 3.2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო. 2020 წელს პანდემიამ აღნიშნული მაჩვენებელი 83%-ით შეამცირა და 541 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2021 წელს საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავალი შედარებით უფრო მაღალი აღდგენის დონით ხასიათდება. 1 ნოემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 2019 წლის (10 თვე) მონაცემის 35.4%-ს შეადგენს.


კოვიდისაგან შედარებით დაცული გარემო დანიშნულების ადგილებში, მოგზაურობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ამასთანავე, ვაქცინაციის განსხვავებული მაჩვენებლები; სწორედ ამ ფაქტორებით შეიძლება აიხსნას მსოფლიოს რეგიონებში არსებული სხვადასხვა აღდგენის დონე. 2021 წლის სექტემბრის დასასრულს, საქართველოს მოსახლეობის 25% იყო აცრილი, ხოლო ეს მაჩვენებელი მსოფლიოსთვის 46%-ს შეადგენდა.

ფიგურა 1
საერთაშორისო ვიზიტორების
ვიზიტები
წ/წ ცვლილება




წყარო: საქართველოს ტურიზმის
ეროვნული ადმინისტრაცია

ფიგურა 2
შემოსავლები საერთაშორისო
ვიზიტორებისგან
წ/წ ცვლილება, მლნ დოლარი




წყარო: სეზ

ფიგურა 3
საერთაშორისო ვიზიტები, მსოფლიო
წ/წ ცვლილება, (2018/2019)



წყარო: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

ფიგურა 4
ვაქცინაციის დონე შერჩეულ ქვეყნებსა და რეგიონებში
სექტემბერი 2021



წყარო: Our World in Data


ტურიზმთან დაკავშირებული სექტორების მიმოხილვა ასახავს პანდემიის ზეგავლენის დონეს როგორც ტურიზმის სექტორზე, ასევე ზოგადად მთლიან ეკონომიკაზე. 2020 წელს ტურიზმთან დაკავშირებულ სექტორებში - საჰაერო, წყლის და სახმელეთო ტრანსპორტირება, აკომოდაცია, სურსათისა და სასმელების მომსახურება - ყველა ძირითადი ინდიკატორის მკვეთრი კლება დაფიქსირდა. 2020 წელს, აღნიშნული სექტორების მთლიანი ბრუნვა 36%-ით, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი 28%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

მათ შორის, აკომოდაცია ყველაზე მეტადაა დამოკიდებული საერთაშორისო მოთხოვნაზე, შესაბამისად, კრიზისისგან სწორედ ეს სექტორი დაზიანდა ყველაზე მეტად.

2021 წელს ტურიზმთან დაკავშირებული სექტორების აღდგენა ნაწილობრივ ადგილობრივი მოთხოვნით იყო განპირობებული, განსაკუთრებით აკომოდაციის შემთხვევაში 2021 წლის მეორე კვარტალში.

ფიგურა 5


ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები ცვლილება 2019 წელთან



წყარო: საქსტატი

ფიგურა 6

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორი ცვლილება 2019 წელთან



წყარო: საქსტატი

პანდემიის აფეთქების შემდგომ არსებული
ნეგატიური ტრენდისგან არც
არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები
(თიბისი ბანკის არხებით) ყოფილა
გამონაკლისი. 2020 წელს, ეს მაჩვენებელი
69%-ით შემცირდა 2019 წელთან
შედარებით. ყველაზე დიდი კლება
განიცადეს ტურიზმთან პირდაპირ
დაკავშირებულმა სექტორებმა,
როგორებიცაა: სასაჩუქრე მაღაზიები,
ტრასპორტირება, სასტუმროები, ბარები და
რესტორნები.

2021 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით,
არარეზიდენტების მთლიანი უნაღდო
დანახარჯები 2019 წლის იმავე პერიოდის
მაჩვენებლის 79%-ს შეადგენს.

საქართველოში სასტუმროებისთვის არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებლებით დასრულდა 2020 წელი. ახალ ვირუსთან მსოფლიოს ბრძოლის და ამავდროულად მისი შესწავლის ფონზე, სასტუმროებს მძიმე გზის გავლა მოუწია, იზოლაციის და დამატებითი მკაცრი შეზღუდვების პირობებში, რაც ისედაც შეზღუდულ შემოსავლის წყაროებს კიდევ უფრო მეტად ზღუდავდა. 2020 წელს საშუალოწლიური დატვირთულობის დონე 12%-მდე შემცირდა, რაც 74%-იანი კლებაა 2019 წელთან შედარებით. მაშინ, როდესაც დიდი სასტუმროების დატვირთულობის მაჩვენებელი 70%-ით შემცირდა, პანდემიის კუდის მოქნევა უფრო მტკივნეული აღმოჩნდა მცირე ზომის სასტუმროებისთვის, სადაც დათვითულობის მაჩვენებელი, 2020 წელს, 80%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით (წყარო: თიბისი კაპიტალის კვლევა შერჩეულ სასტუმროებში).


ისე როგორც ეკონომიკის კანონები იწინასწარმეტყველებდნენ, საშუალოწლიური ოთახის საშუალო

ფიგურა 7

საშუალო დღიური ფასი დიდ* ბრენდულ სასტუმროებში

ცვლილება 2019 წელთან შედარებით

* დიდი სასტუმრო: 80 ოთახზე მეტი



წყარო: თიბისი კაპიტალი.

დღიური ფასები (ADR) კლებადი ტრენდით ხასიათდებოდა და ბრენდულ სასტუმროებში 40%-ით შემცირდა (წყარო: თიბისი კაპიტალის კვლევა შერჩეულ სასტუმროებში).

2020 წელს, Airbnb პლატფორმაზე, საქართველოში აქტიური განცხადებების რაოდენობამ 32%-ით იკლო 2019 წელთან შედარებით. აპარტამენტების დაჯავშნის საშუალო დონე 23%-მდე შემცირდა 2020 წელს, მაშინ როცა 2019 წელს ეს მაჩვენებელი 44% იყო. საშუალოწლიური დატვირთულობის ისედაც დაბალი მაჩვენებელი, 37% (2019), 2020 წელს კიდევ უფრო შემცირდა და 23% შეადგინა. საშუალოწლიური ADR წლიურ ჭრილში მხოლოდ 7%-ით შემცირდა, რაც უმეტესწილად ისედაც დაბალი საბაზისო მაჩვენებლებითაა გამოწვეული. Airbnb-ზე განთავსებული აპარტამენტებიდან მიღებული შემოსავალი, 2020 წელს, 67%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

საქართველოში, 2021 წლის დასაწყისიდან, დიდ ბრუნდულ სასტუმროებში ADR-ის დადებითი დინამიკა შეიმჩნევა. ზაფხულის პიკის თვეში ADR 2019 წლის დონეს მხოლოდ 12%-ით ჩამორჩებოდა. ADR-ის აღდგენილი დონის შენარჩუნების მთავარი ელემენტები აღმოჩნდა: აღდგენილი საერთაშორისო მოთხოვნა, მაღალი ადგილობრივი მოთხოვნა და დიდი ზომის სასტუმროების ძალისხმევა, რომ მათი გარემო ყოფილიყო მაქსიმალურად დაცული.


სექტემბერში, 2019 წელთან ცვლილებამ, -23% შეადგინა. თუმცა, შემოდგომის მეორე თვეში შესამჩნევი გაუმჯობესება დაფიქსირდა და ADR 2019 წლის დონეს 18%-ით ჩამორჩა.

.

პანდემიამ, მის თანმდევ სამოგზაურო და სხვა დამატებით შეზღუდვებთან ერთად, სასტუმროების დატვირთულობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოახდინა გავლენა. პანდემიის საწყის პერიოდში, დატვირთულობის მაჩვენებელი საქართველოში ბევრად ჩამორჩებოდა 2019 წლის მაჩვენებელს. მას შემდეგ, რაც ქვეყნებმა ახალ რეალობასთან შეგუება დაიწყეს, მსოფლიო შედარებით გამოცოცხლდა და სასტუმროების ინდუსტრიამაც აღდგენა დაიწყო.

საქართველოში, 2021 წლის ზაფხულში, სასტუმროებში საშუალო დატვირთულობის საკმაოდ მაღალი დონე დაფიქსირდა. აგვისტოში დატვირთულობამ 68% შეადგინა, რაც მხოლოდ 4%-ით ჩამორჩა 2019 წლის დონეს.


ფიგურა 8
დატვირთულობა
ოქტომბერი 1, 2021



წყარო: თიბისი კაპიტალი,
UNWTO

პიკის სეზონის დასრულების შემდგომ, დატვირთულობის მაჩვენებელმაც კლება დაიწყო და ოქტომბერში 41%-ს გაუტოლდა, რაც 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 18%-ით ნაკლებია. საშუალო და მცირე ზომის სასტუმროებმა შეძლეს ახალ რეალობასთან მორგება, რაც დატვირთულობის მაჩვენებელშიც აისახა. ოქტომბერში, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროებში დატვირთულობამ 28% შეადგინა და 2019 წლის დონეს მხოლოდ 15%-ით ჩამორჩა.

ფიგურა 9
საშუალო დატვირთულობა საქართველოს
სასტუმროებში
* დიდი – 80 ოთახზე მეტი; საშუალო და პატარა – 80 ოთახზე
ნაკლები



წყარო: თიბისი კაპიტალი

სასტუმროები და ასევე, დიდი დახურული
სივრცის მქონე სხვა ტურისტული
ლოკაციები, ცივი სეზონების
მოახლოებასთან ერთად, სეზონურობიდან
გამომდინარე მოთხოვნის შემცირების
გარდა, შესაძლოა სხვა დამატებითი
სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს:
პანდემიის პერიოდში მომხმარებლების
მოზიდვა შესაძლოა დამატებით
გართულდეს იქიდან გამომდინარე, რომ
ზამთარში, დამსვენებლებს დიდი დროის
გატარება მოუწევთ დახურულ სივრცეში
უცხო ადამიანებთან ერთად.

მოგზაურები სწორედ ამ გარემოებას
არიდებენ თავს პანდემიის პირობებში.

პროგნოზი


ტურიზმის აღდგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უმკლავდება მსოფლიო პანდემიას. ახალი შტამები, არათანაბარი ვაქცინაცია და მოგზაურობის კომპლექსური შეზღუდვები უარყოფითად აისახება მთლიან გადატვირთვაზე. ციფრული ტექნოლოგიებით გამარტივებული მობილობის უზრუნველყოფა, კოორდინაცია ქვეყნებს შორის, ხელმისაწვდომი ტესტირებები და ტურისტულ მიმართულებებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ფაქტორებია ინდუსტრიის აღდგენისთვის.

საქართველოს მთავარი ბაზრები არის ევროპა (რეგიონის კუთხით) და შუა აღმოსავლეთი. 2022 წელს, რუსეთიდან და სომხეთიდან საერთაშორისო ვიზიტების ნელ აღდგენას ველოდებით, თუ ახალი შტამები რადიკალურად არ შეცვლიან სურათს. თურქეთში მიმდინარე ეკონომიკურმა წნეხმა შესაძლოა, ამ ქვეყნიდან ვიზიტების აღდგენაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. უკრაინიდან, ისრაელიდან და საუდის არაბეთიდან ვხედავთ ძლიერ, გამძლე მოთხოვნას, რომელიც მოსალოდნელია, რომ შემდგომშიც გაიზარდოს. აზერბაიჯანიდან აღდგენა შეინარჩუნებს ნელ ტემპს და უფრო სწრაფს ტემპზე გადავა 2022 წლის მეორე ნახევრიდან. იქიდან გამომდინარე, რომ მოგზაურობის შეზღუდვების შემსუბუქებაა მოსალოდნელი, ახალი შტამები კი ამ შემთხვევაში არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

2022 წელს, ადგილობრივ ტურიზმს კვლავ ექნება მნიშვნელოვანი როლი აღდგენაში. თუმცა, ბუსტერ დოზების ხელმისაწვდომობა ქართველი ტურისტებისთვის ისეთ ტურისტულ მიმართულებებს ხსნის, რომლებიც აქამდე დაკეტილი იყო. შესაბამისად, დაიწყება საქართველოს გამსვლელი ტურიზმის აღდგენა. ეს კი გარკვეულწილად შეამცირებს ადგილობრივ მოთხოვნას.

ფიგურა 10

თიბისი კაპიტალის პროგნოზები ინდუსტრიისთვის



ქვეყნების ანალიზი: საერთაშორისო ვიზიტები

2019 წელს, საერთაშორისო ვიზიტორების ბაზარი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიერ იყო დომინირებული. ამ რეგიონიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ყველაზე მაღალი წილით სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი გამოირჩნენ. საქართველოსთვის მომდევნო დიდ ევროპულ ბაზარს აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ევროპა წარმოადგენდა, საიდანაც 2019 წელს, საერთაშორისო ვიზიტებში, თურქეთი და ისრაელი იკავებდნენ დომინანტურ წილს.

ევროპიდან შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაში დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპას 5%-ზე ნაკლები ეკავა 2019 წელს. თუმცა, 2011-2019 წლებში, ეს ბაზარი საშუალოდ 13%-ზე მეტით გაიზარდა.

2011-2019 წლებში, ახლო აღმოსავლეთიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საკმაოდ მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით გამოირჩა (83%). ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული ვიზიტორების დომინანტური წილი საუდის არაბეთს ეკავა.

საქართველოსთვის მთავარი ბაზრის ქვეყნების: სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებლის 15%-ზე ნაკლებია.

ეს შედეგი ცხადად მიანიშნებს ბაზრის დივერსიფიკაციისა და ამასთანავე, შედარებით უფრო სტაბილურ ბაზრებზე ორიენტაციის საჭიროებაზე.

პანდემიის პერიოდში ასევე გამოვლინდა, რომ ისრაელიდან, უკრაინიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ზრდადი მოთხოვნა შედარებით გამძლეა კრიზისის მიმართ და სწორედ ეს ბაზარი შესაძლოა აღმოჩნდეს საინტერესო მომდევნო წლებში.

სანამ აღდგენას გავაანალიზებთ, საინტერესოა 2020 წლამდე რა მდგომარეობა ქონდა საქართველოს მის მთავარ ბაზრებთან მიმართებაში.

საქართველოსთვის ევროპის რეგიონი საერთაშორისო ვიზიტორების მთავარ წყაროს წარმოადგენს. 2011-დან 2019 წლამდე, საერთაშორისო ვიზიტებში ამ რეგიონის საშუალო წლიური წილი 85.5%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 80%-დან (2011) 86%-მდე (2019) გაიზარდა, საშუალოდ 16%-იანი წლიური ზრდის ტემპით. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ახლო აღმოსავლეთიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საშუალოწლიურად 83%-ით გაიზარდა.


2021 წლის ოქტომბრის დასასრულს, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2019 (10 თვე) წლის დონის 21%-ს გაუტოლდა. მსოფლიოს რეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების აღდგენის დონეზე

დაკვირვებით საინტერესო შედეგები ვლინდება. მსოფლიოს რეგიონებიდან, საერთაშორისო ვიზიტების ყველაზე მაღალი აღდგენის მაჩვენებლით ახლო აღმოსავლეთი ხასიათდება (65%). 2021 წლის ოქტომბრის დასასრულს, საქართველოსთვის ყველაზე დიდი ბაზრის, ევროპის მაჩვენებელმა 2019 წლის დონის მხოლოდ 19% შეადგინა.

აღდგენის განსხვავებულმა მაჩვენებლებმა რეგიონების მიხედვით საერთაშორისო ვიზიტების განაწილებაზე მოახდინა გავლენა. ევროპას კვლავ დომინანტური წილი უჭირავს, თუმცა, 2021 წელს, ეს მაჩვენებელი 7 პროცენტული პუნქტით დაეცა 2019 წელთან შედარებით. ყველაზე მაღალი აღდგენის დონის მქონე ახლო აღმოსავლეთის წილი 8.6%-ს გაუტოლდა 2021 წელს, რაც 7 პპ-ით მეტია წინა წლებთან შედარებით

ფიგურა 11


საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების მსოფლიოს რეგიონების მიხედვით



წყარო: GNTA

ფიგურა 12

რეგიონების წილი საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტებში



წყარო: GNTA


მოგზაურების განაწილებას თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორი საქართველოში ჩამოდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან.

ამ რეგიონიდან ვიზიტორების რაოდენობა 2011-2019 წლებში წლიურად საშუალოდ 17%-ით იზრდებოდა.

ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპას საქართველოში ჩამოსულ საერთაშორისო ვიზიტორებში მცირე წილები ჰქონდათ 2011-2019 წლებში. თუმცა, აღსანიშნავია. რომ ეს ბაზრები წლიურად 13%-ზე მეტით იზრდებოდნენ. დასავლეთ ევროპას კი ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი ჰქონდა 2011-2019 წლებში.

ფიგურა 13

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ცვლილება, ევროპის რეგიონი




წყარო: GNTA

2021 წელს, ცენტრალურმა და აღმოსავლეთ ევროპამ შეინარჩუნეს ყველაზე დიდი წილი რეგიონიდან საერთაშორისო ვიზიტებში, თუმცა 2019 წელთან შედარებით აღდგენა ყველაზე სუსტია, (-84% ცვლილება) რეგიონის სხვა ნაწილებთან შედარებით.

ფიგურა 14

წილი საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებში, ევროპის რეგიონი




წყარო: GNTA

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდანაა. აღსანიშნავია, რომ 2011-2019 წლებში რუსეთის წილი ვიზიტებში ყოველწლიურად იზრდებოდა, ხოლო სომხეთის და აზერბაიჯანის წილებში კლება ფიქსირდებოდა. რუსეთის წილის ზრდა არ არის გასაკვირი, ვინაიდან რუსეთიდან ვიზიტორების რაოდენობის წლიური ზრდა ბევრად აღემატებოდა სომხეთისას და აზერბაიჯანისას. ვიზიტორების უმეტესობა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან

საქართველოში სახმელეთო საზღვრით შემოდის. საქართველომ სახმელეთო საზღვრები 2021 წლის ივნისში გახსნა, აზერბაიჯანი კი მოგზაურობის მკაცრ შეზღუდვებს ინარჩუნებს. წარსულში მოგზაურობის შეზღუდვები, გარდა ამისა, ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი ამ ქვეყნებიდან სუსტი აღდგენის მთავარი მიზეზებია. აღსანიშნავია, რომ უკრაინიდან ვიზიტების რაოდენობა წლიურად საშუალოდ 20%-ით იზრდებოდა და 2021 წელს ძლიერი აღდგენა აჩვენა. უკრაინიდან ვიზიტები 2019 წლის მაჩვენებელს მხოლოდ 30%-ით ჩამორჩება (10 თვის მონაცემებით).

ფიგურა 15


ქვეყნების წილი ცენტრალური ევროპიდან საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტებში



წყარო: GNTA

ფიგურა 16

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან




წყარო: GNTA

ევროპის კიდევ ერთი რეგიონი, საიდანაც საქართველოში ვიზიტორების დიდი რაოდენობა ჩამოდის არის აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ევროპა. 2011-2019 წლებში ამ რეგიონიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლიურად საშუალოდ 16%-ით იზრდებოდა. ამ პერიოდში, თურქეთს ყველაზე დიდი, თუმცა კლებადი წილი ჰქონდა, 14%-იანი საშუალო წლიური ზრდით. ყველაზე დიდი ზრდა 2011 წელს შეინიშნებოდა. თურქეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობის ზრდა არასტაბილურია. ბოლო წლებში თურქეთში შიდა განვითარება უარყოფითად ისახება ზრდაზე და ამ ქვეყნიდან ვიზიტების აღდგენის დინამიკაზე.

ფიგურა 17

ქვეყნების წილი აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ევროპიდან საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტებში



წყარო: GNTA


ბაზარი, რომელიც 2011-2019 წლებში სტაბილურად ვითარდებოდა და საშუალოდ წლიურად 32%-ით იზრდებოდა, არის ისრაელი.

აღდგენის კუთხით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ევროპიდან დაფიქსირდა, შემდეგ კი სამხრეთ და დასავლეთ ევროპაა.

2021 წელს, ისრაელიდან ვიზიტებში ძლიერი აღდგენა დაფიქსირდა. 2021 წლის 10 თვის მონაცემებით, ისრაელიდან ვიზიტების რაოდენობა მხოლოდ 56%-ით ჩამორჩება 2019 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს. პრეპანდემიურ პერიოდში ისრაელიდან ვიზიტების ზრდა და 2021 წელს ძლიერი აღდგენა, ამ ქვეყნიდან გამძლე მოთხოვნაზე მეტყველებს.

ფიგურა 18

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები სომხეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან



წყარო: GNTA

ევროპიდან შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაში ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპის წილები შედარებით მოკრძალებულია. მაგრამ, ასევე აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონების მაჩვენებელი, 2011-2019 წლებში, წლიურად 13%-ზე მეტად იზრდებოდა. 2021 წელს, ოქტომბრის დასასრულს, დასავლეთ ევროპიდან განხორციელებული ვიზიტები რიგით მეორე ადგილს იკავებს აღდგენის დონის მიხედვით (აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ევროპის შემდგომ). ამ რეგიონიდან ვიზიტების მაჩვენებელი 2019 წლის (10 თვე) დონის 34%-ს უტოლდება.

2019 წელს, ევროპასთან შედარებით, ახლო აღმოსავლეთს შედარებით მცირე წილი ეკავა საქართველოს საერთაშორისო ვიზიტებში. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ 2011-2019 წლებში, აღნიშნული რეგიონი საკმაოდ მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით გამოირჩა (83%), საინტერესოა მასზე უფრო დეტალური დაკვირვება.


2019 წელს, ახლო აღმოსავლეთიდან შემოსული ვიზიტორების ყველაზე დიდ წყაროს საუდის არაბეთი წარმოადგენდა, საიდანაც 2011-2019 წლებში ვიზიტების რაოდენობა საშუალოდ 181%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით ხასიათდებოდა არაბეთის გაერთიანებული საამიროების მაჩვენებელიც (143%). პანდემიის დაწყებამდე, მონაცემების მიხედვით, აშკარაა აღნიშნული ქვეყნების მზარდი ინტერესი საქართველოს მიმართ.

2021 წელს, ახლო აღმოსავლეთიდან ვიზიტები 2019 წლის მაჩვენებლის 65%-ს შეადგენს, რაც უმეტესწილად საუდის არაბეთის დამსახურებაა.

მთლიანობაში, აღდგენის მაჩვენებლები მთავარი ბაზრის ქვეყნებიდანაა ყველაზე დაბალი. ისრაელი, უკრაინა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით საუდის არაბეთი, უფრო მაღალი მოთხოვნით და 2019 წელთან შედარებით მაღალი აღდგენით ხასიათდება.

ფიგურა 19

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების აღდგენა



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დასკვნები კრიზისიდან: ქვეყნების ანალიზი: საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები

ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ძირითადი პორტუგელის ქვეყნები ერთ ვიზიტზე შემოსავლების მერყევი ზრდით ხასიათდება. 2019 წელს, ამ ქვეყნებიდან, ვიზიტზე საშუალო დანახარჯებმა უმეტეს შემთხვევაში იკლო, რისი მიზეზიც შესაძლებელია იყოს ვიზიტის დროს გატარებული ღამეების რაოდენობის შემცირება ან მოთხოვნის შედარებით ნაკლებად ძვირ მომსახურებასა და პროდუქტებზე გადართვა.

პანდემიამ მოგზაურების ქცევა და პრიორიტეტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეცვალა. ისინი უფრო მეტად ფრთხილნი გახდნენ სამოგზაურო გადაწყვეტილებების მიღებისას, შემსუბუქებულმა უსაფრთხოების ნორმებმა და სხვადასხვა სამოგზაურო შეზღუდვებმა დარჩენის ვადის გაზრდა გამოიწვია.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ვიზიტორების ერთ ვიზიტზე შემოსავლებში ზრდა შეიმჩნევა. 2021 წლის 10 თვის მონაცემებით, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემოსავალი ერთ ვიზიტზე დაახლოებით 69%-ით გაიზარდა. ვიზიტზე შემოსავლების ზრდა შეიმჩნევა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი და საუდის არაბეთი.

კრიზისის პერიოდის ერთერთი მიგნებაა, რომ საუდის არაბეთი, ისრაელი და უკრაინა საქართველოსათვის მნიშვნელოვან, მზარდ ბაზარს წარმოადგენს, ხოლო ევროკავშირი სტაბილურად შეიძლება ჩაითვალოს.


2019 წელს, საქართველომ საერთაშორისო ვიზიტორებისგან 3.2 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო. შემოსავლებში ყველაზე მაღალი წილი რუსეთმა დაიკავა 26%-ით, მას მოყვა თურქეთი - 13%-იანი წილით. მესამე ადგილი ევროკავშირს ერგო და შემოსავლების 12% წარმოადგინა. 2016-2019 წლებში საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები წლიურად საშუალოდ 16%-ით გაიზარდა.

ოქტომბრის ბოლოსთვის, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული მთლიანი შემოსავლები 2019 წლის (10 თვე) მაჩვენებელს 65%-ით ჩამორჩება.

2021 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში, ყველაზე მაღალი აღდგენა უკრაინიდან შემოსული ვიზიტორებისგან მიღებულ შემოსავლებში დაფიქსირდა (89%), რაც წლის განმავლობაში ამ ქვეყნიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობის ზრდითაა განპირობებული. ამავე პერიოდში, საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავალი 2019 წლის დონის 79%-ს გაუტოლდა.

ფიგურა 20


შემოსავლები საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებიდან ქვეყნების მიხედვით, ცვლილებები



წყარო: სებ

ფიგურა 21

ქვეყნების წილი საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებულ შემოსავლებში



წყარო: სებ

2019 წელს, ერთი ვიზიტიდან საშუალო შემოსავალი 423 აშშ დოლარს გაუტოლდა. ვიზიტზე ყველაზე მაღალი შემოსავლით საუდის არაბეთი, ისრაელი და ევროკავშირი გამოირჩა. 2016-2019 წლების პერიოდში საშუალო შემოსავალი შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდა - წლიურად საშუალოდ 3%-ით. ასეთი ნელი ზრდა შესაძლოა, აიხსნას საქართველოს მთავარი ბაზრის შემადგენლობით და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორებისგან მიღებული საშუალო შემოსავალი უმნიშვნელოდ გაიზარდა ან შემცირდა. 2021 წელს, ვიზიტზე საშუალო შემოსავალი 69%-ით გაიზარდა. ეს ზრდა სავარაუდოდ დარჩენის დროის გაზრდითაა გამოწვეული, როგორც მსოფლიო ტრენდი მიუთითებს.

ერთი ვიზიტიდან მიღებული შემოსავლის ქვეყნების მიხედვით განხილვისას, მცირედი კლება ფიქსირდება თურქეთის შემთხვევაში.


ეს ფაქტი თურქეთის მიმდინარე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით შეიძლება აიხსნას.

ვიზიტიდან მიღებული შემოსავლები თითქმის უცვლელია ისრაელიდან და საუდის არაბეთიდან. ეს მიგვანიშნებს, რომ ბაზარზე მოგზაურობასთან დაკავშირებული ქცევა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. იმის ფონზე, რომ საქართველო სწორედ ამ ორი ქვეყნიდან იღებს ყველაზე მაღალ საშუალო შემოსავალს ერთ ვიზიტზე, ქვეყანამ უნდა გადაიაზროს მომავალში რას შესთავაზებს მათ, ამ ბაზრიდან შემოსავლის კიდევ უფრო გასაზრდელად.

2021 წლის იანვარ-ოქტომბერში, ვიზიტზე საშუალო შემოსავლები რუსეთიდან, უკრაინიდან და ევროკავშირიდან 25%-ზე მეტით გაიზარდა. ეს შესაძლოა უფრო ხანგრძლივი ვიზიტებით იყოს გამოწვეული.

ფიგურა 22


შემოსავლები ვიზიტზე ქვეყნების მიხედვით



წყარო: სეზ

ფიგურა 23

2021 წლის 10 თვის ცვლილება 2019 წლის 10 თვესთან შედარებით



წყარო: სეზ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დასკვნები კრიზისიდან: ადგილობრივი ტურიზმი

ადგილობრივი ტურიზმი 2022 წელსაც გააგრძელებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, რადგან ვირუსი ჯერ კიდევ აფორიაქებს მსოფლიოს და მას ახალი გაურკვევლობის ტალღა მოყვება.

2021 წელს, საქართველოში ადგილობრივმა ტურიზმმა მნიშვნელოვნად იმატა. მოსალოდნელია, რომ საქართველოც მსოფლიო ტრენდს გაყვება და მოკლევადიან პერიოდში ძირითადად ადგილობრივ ტურიზმზე იქნება დამოკიდებული.

ადგილობრივი ტურიზმის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი ლოკაციების დიდ ქალაქებთან (თბილისი) სიახლოვე და შედარებით კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა მოთხოვნის ძირითადი მამოძრავებელი ელემენტებია.

კახეთი განაგრძობს ადგილობრივი მოთხოვნით სარგებლობას. შედარებით შორ ლოკაციებს, სადაც სასტუმროების ნაკლები კონცენტრაციაა და ამავედროულად ტურისტული ინფრასტრუქტურაც არაა მაღალ დონეზე, უფრო კრეატიული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ, ვიზიტორების მისაზიდად.


მაშინ როცა მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლას განაგრძობს და საერთაშორისო ტურიზმი მგზავრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების წინაშე, ტურიზმის ინდუსტრია ძირითადად ადგილობრივ ტურიზმზე ხდება დამოკიდებული. 2021 წელს, საქართველოში, თბილისის გარეთ არსებულ სასტუმროებში მთლიანი დატვირთულობის დაახლოებით 70% ადგილობრივმა ტურისტებმა შეადგინეს.

წლის მეორე კვარტალში, საშუალო თვიური ადგილობრივი ვიზიტების რაოდენობა 27.3%-ით გაიზარდა

ფიგურა 24

საშუალო თვიური ადგილობრივი ვიზიტები

ცვლილება 2019 წელთან



წყარო: საქსტატი


2019 წლის მეორე კვარტალთან. ეს მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია, რადგან იგივე მონაცემი, 2019 წლის მეორე კვარტალში, მხოლოდ 0.8%-ით იყო 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

2020 წლის მეორე კვარტალში, ადგილობრივი ვიზიტორების ღამეების საშუალო რაოდენობა გაორმაგდა 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ხოლო 2021 წლის მეორე კვარტალში, 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ამ მაჩვენებლის ზრდა 32%-ს გაუტოლდა და 1.78 ღამე შეადგინა.

ფიგურა 25

ადგილობრივი ვიზიტორების ღამეების საშუალო რაოდენობა

ცვლილება 2019 წელთან



წყარო: საქსტატი

სასტუმროებზე უნაღდო დანახარჯების განაწილებაზე დაკვირვების შედეგად ვლინდება, რომ რეზიდენტების წილი უფრო მეტია რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. ხოლო თბილისა და აჭარაში არარეზიდენტების წილია დომინანტური.


სასტუმროებზე რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისის გარდა, ყველაზე პოპულარულ ლოკაციებს კახეთი და აჭარა წარმოადგენს. კახეთის პოპულარობა სასტუმროების კონცენტრაციით და თბილისთან სიახლოვით შეიძლება აიხსნას.

იმის მიუხედავად, რომ აჭარა თბილისთან სიახლოვით არ გამოირჩევა, ის როგორც კარგად განვითარებული რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მქონე ზღვის კურორტი, მაინც იზიდავს ადგილობრივ დამსვენებლებს.

ფიგურა 26

სასტუმროებში რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების განაწილება

თიბისი ბანკის არხებით, იანვარი-ოქტომბერი 2021



წყარო: თიბისი კაპიტალი

ტრენდები ჰორიზონტზე

პანდემიამ დრამატული გავლენა იქონია ტურიზმის ინდუსტრიის ყველა მიმართულებაზე და ბიძგი მისცა ისეთი ტრენდების შექმნას ან დაჩქარებას, რომლებიც ცვლიან ინდუსტრიას. მოგზაურებისთვის პრიორიტეტული გახდა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ტრენდი, რომელიც საკმაოდ კომპლექსურია, როგორც World Tourism Organization, World Travel and Tourism Council, და the Organization for Economic Cooperation and Development ვარაუდობენ ეს ტრენდი მოკლე პერიოდით მაინც დარჩება ჩვენს ცხოვრებაში.

ეს სექცია ეთმობა ტურიზმის ინდუსტრიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური ტრენდების მიმოხილვას.



ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

პანდემიამ შეცვალა მოგზაურების ქცევა. ეს ცვლილება კი შემდეგ საკითებში გამოიკვეთა:

- ❖ ჰიგიენა პრიორიტეტულია
- ❖ ნაკლები მეტია
- ❖ ფოკუსი კეთილდღეობაზე

როგორ ისახება შეცვლილი პრიორიტეტები ტურიზმის ინდუსტრიაზე? იმისათვის, რომ კოვიდ-უსაფრთხოება იქნას მიღწეული, ინდუსტრია მსოფლიოს მასშტაბით შემდეგზე ფოკუსირდება:

სისუფთავე: სისუფთავე და ჰიგიენა ინდუსტრიის მოთამაშეებისთვის მთავარი პრიორიტეტი გახდა მომხმარებლების მოსაზიდად. სისუფთავის პოლიტიკის შემოღება, პროცედურები და სტანდარტები, კადრების მუდმივი ტრენინგი და საჭირო მასალების მიწოდება ინდუსტრიის მოთამაშეებისთვის დამატებითი საკითხები გახდა. მათი განხორციელება კი საკმაოდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ეს ხარჯები განსაკუთრებულად მძიმეა ბაზრის მცირე და საშუალო მოთამაშეებისთვის. 2021 წელს, საქართველოში სასტუმროების დატვირთულობის სტატისტიკაც ამტკიცებს ამ მოსაზრებას. დიდმა სასტუმროებმა მოახერხეს, საშუალო და მცირე სასტუმროებთან შედარებით, დატვირთულობის მაღალი მაჩვენებელი შეენარჩუნებინათ. ამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მათ მიერ შეთავაზებული კოვიდ-უსაფრთხოების სხვადასხვა დონეა.

მომხმარებლებისთვის უფრო მეტი პირადი სივრცის შექმნა: სოციალური დისტანცია პანდემიის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. იმისათვის, რომ ინდუსტრიის

წარმომადგენლებმა მომხმარებლებს კოვიდ-უსაფრთხო გარემო შესთავაზონ, აუცილებელია მათთვის პირადი სივრცის შექმნა. ეს კი ძირითადად ინფრასტრუქტურული ცვლილებებით არის შესაძლებელი. ამ მხრივ, მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება, თავიდან აიცილონ უცხო ადამიანებთან არასაჭირო კონტაქტი.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ბრენდის იდენტობაში დანერგვა: მომხმარებლების დაბრუნება და მათი ნდობის მოპოვება მოცულობით მარკეტინგულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ინფრასტრუქტურის კოვიდ-უსაფრთხოდ მოწყობისა და სპეციალური პოლიტიკის, სტანდარტების, პროცედურების, საოპერაციო ან დიზაინში ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვანია მარკეტინგულ სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა. ბრენდებს, რომლებიც ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას მათ იდენტობასა და კომუნიკაციაში ნერგავენ, აღდგენის უფრო მაღალი შანსი აქვთ. საქართველომ ცოტა ხნის წინ შემოიღო „მწვანე პასპორტები“. გარკვეულ ღონისძიებებზე, სასტუმროებში და რესტორნებში შესვლა მხოლოდ ამ პასპორტის მფლობელებისთვისაა შესაძლებელი. ეს წესი კოვიდ-უსაფრთხო გარემოს შექმნისთვისაა, რაც აუცილებელია ტურიზმის აღდგენისათვის. თუმცა, მოკლე ვადაში, ამან შესაძლოა, შეამციროს კლიენტების რაოდენობა იმ ადგილებში, რომლებიც ადგილობრივ მომხმარებლებზეა დამოკიდებული, ვინაიდან ქვეყანაში ვაქცინაციის მაჩვენებელი კვლავ დაბალია.

გამოცდილებები ხალხმრავლობის გარეშე:
 პანდემიის მეორე წელს, მოგზაურებისთვის ნაკლები მეტია. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნებისთვის, ისინი უფრო პატარა ჯგუფებად მოგზაურობენ. გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიის შედეგად ბევრმა საყვარელ ადამიანებთან კონტაქტი დაკარგა, ეს ჯგუფები ხშირად მეგობრებისა და ოჯახებისგან შედგება. ადამიანები მოგზაურობენ, რათა დიდხნიანი განშორების შემდეგ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შეხვდნენ. ამასთანავე, მოგზაურები ჯერ კიდევ ცდილობენ, თავი აარიდონ ხალხმრავალ ადგილებს. მათთვის პრიორიტეტულია ობიექტები, რომლებიც დროის გარე სივრცეებში გატარების შესაძლებლობას იძლევიან. ამ ტრენდისთვის აუცილებელია, მოგზაურებისთვის მეტი პირადი სივრცის შეთავაზება, ინდუსტრიის მოთამაშეები ამისათვის შემდეგს აკეთებენ:

❖ რიგების უკეთესად მართვა

❖ ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად მოწყობა

❖ შედარებით პატარა ტრანსპორტით მცირე ჯგუფების გადაყვანა

❖ აქტივობების შეთავაზება გარე სივრცეებში

❖ მეგობრებისა და ოჯახებისთვის გამოცდილებების შეთავაზება

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტები როგორც ბიზნეს-შესაძლებლობა: Global Wellness Institute (GWI) მიხედვით, მსოფლიო სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ეკონომიკა 4.5 \$ ტრილიონიანი ბაზარია. ინდუსტრია, რომელიც არაერთ სექტორს ფარავს, რომელთა შორისაა

თერმული/მინერალური წყლები, სპა, პირადი ჰიგიენა და სილამაზე, 2015-2017 წლებში 12.8% CAGR იზრდებოდა, რაც მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპზე თითქმის ორჯერ მეტია. Global Wellness Institute-ის თანახმად, 2017 წელს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის ბაზარმა 639 \$ მილიარდი შეადგინა, 2015 და 2017 წლებში 6.5%-იანი CAGR ზრდით. 2020 წლისთვის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის ინდუსტრიამ 735.8 \$ მილიარდს (Statista.com) მიაღწია და „Wellness Tourism – Global Market Trajectory and Analytics“ ანგარიშის მიხედვით 2027 წლისთვის 1.2 \$ ტრილიონამდე გაიზრდება. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მოგზაურები, სხვა ტურისტებთან შედარებით უფრო მაღალი ხარჯვით გამოირჩევიან. 2017 წელს, მათმა საშუალო დანახარჯმა ერთ ვიზიტზე 1,528 \$ შეადგინა.

საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს ცნობილი სპა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიმართულება. საქართველოს დასავლეთ-ცენტრალურ ნაწილში, ქუთაისის აეროპორტიდან 20 წუთის გზაზე მდებარე წყალტუბოს სპა კურორტი, საბჭოთა პერიოდში წელიწადში 125,000-მდე ვიზიტორს ღებულობდა. საირმესა და აბასთუმანს კიდევ უფრო მეტი განვითარების პოტენციალი აქვთ. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში უხვადაა სამკურნალო წყლები, ხოლო აღმოსავლეთში, ტალახის სამკურნალო კურორტი ახტალა მდებარეობს.

გაციფრულება

ციფრული ტრანსფორმაცია, რომელიც თითქმის ყველა სექტორის დღის წესრიგში იყო, პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა. რა თქმა უნდა, არც ტურიზმის ინდუსტრიაა გამონაკლისი. World Economic Forum-ის Digital Transformation Initiative მიხედვით, “შემდეგი დეკადის განმავლობაში (2016-2025), ავიაკაში, მოგზაურობასა და ტურიზმში გაციფრულებამ მოსალოდნელია:

- ❖ შექმნას ინდუსტრიისთვის 305\$ მილიარდამდე ღირებულება მოგების გაზრდის მეშვეობით
- ❖ 100\$ მილიარდის ღირებულების ტრადიციული მოთამაშეებიდან ახალ კონკურენტებზე მიგრაცია
- ❖ მომხმარებლებისა და ფართო საზოგადოებისთვის 700\$ მილიარდის სარგებლის გამომუშავება, გარემოზე შემცირებული კვალის, გაუმჯობესებული უსაფრთხოებისა და დაცვით და მომხმარებლებისთვის ხარჯებისა და დროის დაზოგვით
- ❖ გამოიწვიოს ინდუსტრიაში არსებული პოზიციების გადაადგილება, რაც ნაწილობრივ მოგზაურობის ეკოსისტემაში შემდეგი თაობის კვალიფიციური პოზიციების შექმნით კომპენსირდება.”


The UNWTO მოუწოდებს ქვეყნებს და ტურისტულ ადგილებს რომ აითვისონ “ჭკვიანი” სტრატეგიები და მოახდინონ საკუთარი ტურიზმის ინდუსტრიების ტრანსფორმაცია. ორგანიზაცია, ტურიზმის მომავალს ხედავს ჭკვიანი მოგზაურობის განვითარებასა და ისეთ ჭკვიან მიმართულებებში, სადაც ციფრული ტექნოლოგიები მთელი ტურისტული ციკლის მანძილზე: მოგზაურობამდე, მოგზაურობის დროს და მოგზაურობის შემდეგ გამოიყენება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) თავის პუბლიკაციაში OECD Tourism Trends and Policy 2020, ასახელებს ტექნოლოგიებს რომლებიც დღეს ტურიზმის ეკოსისტემას ქმნიან :

- ❖ მობილური ტექნოლოგიები/ ღრუბლოვანი გამოთვლები
- ❖ მონაცემთა ანალიზი
- ❖ ხელოვნური ინტელექტი
- ❖ ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობები
- ❖ აუგმენტირებული რეალობა/ ვირტუალური რეალობა (AR/VR)
- ❖ ბლოკჩეინი

ფიგურა 27

საწარმოების წილი, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებს იყენებენ



წყარო: საქსტატი

საქართველოში ეკონომიკის სექტორების უმეტესობა პირველ ნაბიჯებს დგამს ციფრული ტრანსფორმაციისკენ. სტუმარმასპინძლობის სექტორში ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიებია ჯავშნისა და მიტანის სერვისის სისტემების გამოყენება. უფრო კომპლექსური გადაწყვეტებისთვის, საქართველოს სტუმარმასპინძლობის სექტორს უფრო მეტი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. როგორც ზემოთაა აღნიშნული, პანდემიამ გაზარდა ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობა ტურიზმის ინდუსტრიისთვის, მისი სხვა სარგებლის გარდა, ის საშუალებას აძლევს ინდუსტრიის მოთამაშეებს ფეხი აუწყო მოგზაურების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ახალ მოთხოვნებს. ამან განაპირობა ტურიზმის ინდუსტრიაში უკონტაქტო ტექნოლოგიების უფრო სწრაფი ათვისება და შემდგომი განვითარება. სტუმარმასპინძლობის სექტორში, გამოიყენება აპლიკაციებით მართვადი, ხმოვანი და მოძრავი სენსორული სისტემები, რათა მომხმარებლებს უკონტაქტო გამოცდილებები მიაწოდონ. ასეთი სისტემების პრაქტიკული გამოყენება შემდეგია:

- ❖ უკონტაქტო გადახდები
- ❖ ციფრული check-in და check-out
- ❖ სასტუმროს ოთახის ციფრული გასაღები
- ❖ ციფრული მენიუები
- ❖ ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების ციფრული მართვა (ლიფტი, სინათლე, კარი)
- ❖ სერვისის წარმომადგენლებთან საკომუნიკაციო უკონტაქტო პორტალები
- ❖ ვირტუალური ტურები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ციფრული ტექნოლოგიების მაღალ დონეზე ათვისებით ვერ დაიკვეხნის, 2021 წლის ოქტომბერში, თბილისში გაციფრულებული სასტუმრო გაიხსნა. სასტუმრო სთავაზობს უკონტაქტო კონცეპტს, ციფრული check-in, check-out-ის, რეგისტრაციის, სასტუმროს ოთახის ციფრული გასაღების, ციფრული ჯავშნების ან სასტუმროს სხვა სერვისების, სასტუმროს თანამშრომლებთან ციფრული კომუნიკაციის მეშვეობით.

სხვა ტრენდები

ბიზნეს ტურიზმი

2020 წელს მსოფლიო ბიზნეს ტურიზმის დანახარჯები 52%-ით შემცირდა. კვლევები პროგნოზირებენ, რომ ბიზნეს ტურიზმის აღდგენა სხვა ტიპის მოგზაურობებთან შედარებით უფრო ნელი იქნება, შემდეგი მიზეზების გამო:

- ❖ ბიზნეს მოგზაურობასთან დაკავშირებული MICE ტურიზმი მაღალ რისკებს მოიცავს, ვინაიდან ძირითადად დიდი რაოდენობით სტუმრების შეკრებასთან არის დაკავშირებული.
- ❖ ახალი, დისტანციური მუშაობისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდამ და გლობალურმა ათვისებამ კომპანიებს საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ მათ ბიზნეს მოგზაურობებსა და დაკავშირებულ ხარჯებზე.

იმისათვის, რომ ამ გამოწვევას გაუმკლავდნენ სასტუმროები, რომლებიც ძირითადად ბიზნეს მოგზაურობაზე არიან დამოკიდებული, კრეატივს უნდა მიმართონ. მათ ახლიდან უნდა წარმოიდგინონ მათი სივრცეები და შემოიღონ ტექნოლოგიები, რომლებიც ახალ რეალობასთან გამკლავებაში დაეხმარებათ. რამდენიმე რეკომენდაცია ასე გამოიყურება:

- ❖ მისცენ სტუმრებს საშუალება, იმუშავონ თავიანთი სასტუმროს ოთახებიდან - გადაიტანონ სამუშაო პირობები სასტუმროს ბიზნეს ცენტრებიდან სასტუმროს ოთახებში.
- ❖ ახლიდან წარმოიდგინონ მათი ბიზნეს მოდელი და შესთავაზონ ოთახების დღიური სამუშაო აბონიმენტები.
- ❖ გამართონ ჰიბრიდული ღონისძიებები

მოქნილობა

პანდემიამ მოგზაურების ცხოვრება საკმაოდ არაპროგნოზირებადი გახადა. ამის შესაბამისად, მოგზაურები სასტუმროს წარმომადგენლებისგან ელიან, რაც შეიძლება მეტი მოქნილობა შესთავაზონ. მისცენ სტუმრებს ჯავშნის უფასო გაუქმების, შეცვლის, ბოლო წუთს ჯავშნების ხელმისაწვდომობა.

Booking.com-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ “მოგზაურების თითქმის ნახევარი (45%) ჯავშანს უფასო გაუქმების შესაძლებლობის შემთხვევაში გააკეთებდა, ხოლო ერთი მესამედი კი, ჯავშანს თარიღის უფასო ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში განახორციელებდა.”

იმუშავე, საიდანაც გინდა

რაც უფრო მეტი კომპანია სთავაზობს დისტანციურ ან ჰიბრიდულ სამუშაოს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა უჩნდება ტურიზმის ინდუსტრიას, მიიზიდოს. ე.წ „ციფრული მომთაბარეები“, რომლებსაც მოგზაურობისა და მუშაობის შეთავსება სურთ.

ინტერნეტ -კავშირის მაღალი ხარისხი და გავრცელება, განსაკუთრებით სოფლებში, ფაქტორია, რომელიც ამ შესაძლებლობის წარმატებულად გამოყენებას უკვალავს გზას. მეორე მხრივ, workation ნიშნავს სამუშაო კეთილმოწყობის (ტექნოლოგიები, პირადი სივრცე და მოხერხებულობა) პაკეტს, მოგზაურობის გამოცდილებისა და ახალი კუთხით დანახვის თანხლებით.

პროგრამის „იმუშავე საქართველოდან“ შემოღების პირველი მცდელობა საქართველოში პანდემიის დასაწყისში იყო. თუმცა, მას შემდეგ რაც პანდემია უფრო და უფრო გამწვავდა, ქვეყნებმა ჩაკეტეს საზღვრები და შემოიღეს მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეზღუდვა პროგრამამ მნიშვნელობა დაკარგა.

იმ დროს, როდესაც მსოფლიო და საქართველო ახალ რეალობასთან ცხოვრებას სწავლობენ, სარგებლიანი იქნება საჯარო-კერძო დიალოგების გამართვა პროგრამის ხელახლა გაშვებასა და იმ შესაძლებლობის გამოყენებაზე, რომლის მოტანაც workation-ს შეუძლია

მოკლე და საშუალო ვადიანი გამონვევები

ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი

საქართველოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ვაქცინაციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი და ვირუსით გამოწვეული სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს. ეს საკმაო საფრთხეს წარმოადგენს იმ მოგზაურებისთვის, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოვიდ-უსაფრთხოებას. მწვანე პასპორტები ტურისტებისთვის შედარებით უსაფრთხო ზონების შექმნას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ინდუსტრიის წარმომადგენლების ცალკეული მცდელობები შეინარჩუნონ კოვიდ-უსაფრთხო გარემო, შეამცირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს.

მგრძნობიარე ბაზრები

საქართველოსთვის საერთაშორისო ვიზიტორების მთავარი ბაზრები საკმაოდ დაუცველი აღმოჩნდა პანდემიისგან გამოწვეული კრიზისისადმი. ეს ისახება და მომავალშიც აისახება აღდგენის ტემპზე. მნიშვნელოვანია, რომ დაიწყოს უფრო სტაბილურ ბაზრებში ინვესტირება და იმ განვითარებადი ბაზრების ხელშეწყობა, რომლებმაც პანდემიის დროს გამძლეობა გამოიჩინეს.

სამუშაო ძალის დეფიციტი

პანდემიის შედეგად სამუშაო ძალა ტურიზმის ინდუსტრიიდან სხვა ინდუსტრიებში გადანაწილდა. ინდუსტრიის აღდგენის დაწყებიდან, სამუშაო ძალის დეფიციტი გამოწვევაა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მოთამაშეებისთვის. თუ ეს დეფიციტი გაგრძელდა, რთული იქნება აღდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხისა და დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე. სანამ ტურისტულ სერვისებზე მოთხოვნა გარკვეულ სტაბილურ დონეს მიაღწევს, გართულდება კადრების ნდობის მოპოვება და მათი ინდუსტრიაში დაბრუნება. სტუმარმასპინძლობის, განათლების და კერძო სექტორებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ ინდუსტრიაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარებისათვის.

განსაკუთრებული აქცენტი გამონვევაზე: სამუშაო ძალის დეფიციტი სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, ტურიზმის ინდუსტრიაში 62 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი დაიკარგა. საქართველოში ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 27.7%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წლის პირველ ნახევარში, სტუმარმასპინძლობის სექტორში დასაქმება პანდემიის დაწყებამდე პერიოდის მაჩვენებლის 74% შეადგენს (2019, 1 ნახ.). მაშინ როცა ტურიზმი აღდგენას ცდილობს და განსაკუთრებით სტუმარმასპინძლობის სექტორი ცდილობს ყოფილი თანამშრომლების დაბრუნებას, წინ რთული გამოწვევა ხვდება: სამუშაო ძალა, რომელიც ადრე ამ ინდუსტრიაში იყო დასაქმებული, ახლა უკვე აღარაა ხელმისაწვდომი. ამ სცენარის მიხედვით ინდუსტრიისთვის გართულდება აღდგენილი მოთხოვნასთან თანხვედრა.

სამუშაო ძალის დეფიციტის, ანდა კვალიფიციური მომუშავეების ნაკლებობის საკითხს რამდენიმე კუთხით შეიძლება შევხედოთ. ამ თემის განხილვისას მთავარი საკითხია კერძო სექტორის, განათლების სისტემისა და საჯარო სექტორის ურთიერთდამოკიდებულება საერთო მიზნის მისაღწევად - ჩამოყალიბდეს კვალიფიციური სამუშაო ძალა, დასაქმების მაღალი პოტენციალით.

პანდემიასთან დაკავშირებული არეულობის გამო, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში შექმნილი სამუშაო ძალის დეფიციტმა წინ წამოწია ეს საკითხი. საქართველოში სექტორის წარმომადგენლებისთვის ეს თემა საკმაოდ მტკივნეული გახდა. ინდუსტრიის ამ გამოწვევაზე საპასუხად, თიბისი კაპიტალმა გადაწყვიტა ამ საკითხის ირგვლივ სპეციალური ანალიზის გაკეთება და იმის გამოკვლევა თუ როგორი საჭიროებები აქვთ ინდუსტრიის წარმომადგენლების სამუშაო ძალასთან მიმართებაში. ამ ფოკუსირებულ კვლევაში თიბისი კაპიტალმა სცადა გაეანალიზებინა: კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები რა სპეციფიური მოთხოვნები აქვთ სტუმარმასპინძლობის სექტორის წარმომადგენელს სამუშაო ძალის მიმართ

ანალიზის მიზანია უფრო ნათლად წარმოაჩინოს სტუმარმასპინძლობის სექტორის მოთხოვნები სამუშაო ძალის უნარებთან, კვალიფიკაციასთან და განათლებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, თიბისი კაპიტალმა ჩაატარა 25 დიდი და საშუალო ზომის სასტუმროს და 15 რესტორნის დეტალური გამოკითხვა. ამასთანავე, ჩატარდა 21 დამატებითი თვისებრივი/ხარისხობრივი ინტერვიუ ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენელთან, მათ შორის პოლიტიკის შემმუშავებლებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასტუმროებთან და რესტორნებთან.

სამუშაო ძალის დეფიციტის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები

ნდობის ნაკლებობა:

გარემო, რომელშიც სტუმარმასპინძლობის სექტორსა და სამუშაო ძალას ოპერირება უწევს, ვირუსის გამო, საკმაოდ არაპროგნოზირებადია. იმავდროულად, 2020 წელს სამუშაო ძალამ დიდი მოცულობის დანაკარგი განიცადა. ამ და სხვა მიზეზების გამო, სამუშაო ძალას ინდუსტრიისადმი ნდობა აქვს დაკარგული. მათ ურჩევნიათ შედარებით უსაფრთხო და სტაბილურ ინდუსტრიაში გადაინაცვლონ, ვიდრე ცვალებად (ამ დროისთვის) ინდუსტრიას დაბრუნდნენ.

ნდობის აღდგენა და კვალიფიცირებული კადრების დაბრუნება მხოლოდ სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პანდემიის მართვა პირდაპირაა დაკავშირებული კოვიდ-უსაფრთხო გარემოს შექმნასთან, რომელიც თავის მხრივ, აჩქარებს სტუმარმასპინძლობის სექტორის აღდგენას და უზრუნველყოფს მის სტაბილურობას.

თუმცა, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის მოთამაშეებს დიდი როლი აქვთ ნდობის დაბრუნებაში. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ტურბულენტურ დროში ოპერირების სტრატეგიისა და გეგმის ქონა. გარდა ამისა, ამ გეგმის სამუშაო ძალასთან გაზიარება. გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდი წვლილი შეაქვთ ნდობის შენებაში. დამატებით, აუცილებელია ობიექტებზე კოვიდ-უსაფრთხო გარემოს შექმნა და ბიზნესის ოპერირების გაგრძელების უზრუნველყოფა.

კონკურენცია სხვა ინდუსტრიაშიდან:

პანდემიის გამო მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო ტურიზმის ინდუსტრიაში, თუმცა იმავდროულად შეიქმნა სამუშაო ადგილები ეკონომიკის სხვა სექტორებში.

ტექნოლოგიების ათვისების დაჩქარებით, პანდემიის შედეგად შეიქმნა სამუშაო ადგილები ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ სექტორებში. მიტანის სერვისი, სადაც ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავეების ნაწილი გადავიდა, ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

